ანალიტიკური წერა (AW1)

A ტიპის ტესტი

ორი დავალება

დრო – 1 სთ 10 წთ

დავალება I – მსჯელობის ანალიზი

ერთ-ერთი ქვეყნის მთიანი რეგიონი განსაკუთრებით მიმზიდველი იყო ეკოტურიზმის მოყვარულთათვის თავისი ღირსშესანიშნაობების გამო: სხვადასხვა სირთულის მთის ბილიკები, ლურჯი ტბა ბუნებრივი შემოგარენით, ტრადიციული კულინარია; ტურისტებს განსაკუთრებით იზიდავდა ადგილობრივი ტბის თევზის კერძები, რის გამოც მოსახლეობა აქტიურად მისდევდა თევზჭერას. ეს საქმიანობა ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყარო იყო.

ბოლო დროს რეგიონში აშენდა ახალი სასტუმროები; მდინარეზე, რომელიც ტბაში ჩაედინება, დადგეს მცირე ჰიდროელექტროსადგური. ტბის დიდი ნაწილი არენდით აიღო მეწარმემ, რომელმაც კუთვნილი სანაპირო ფილებით მოაპირკეთა, ხოლო ტბაში ახალი ჯიშის თევზი და კიბორჩხალები მოამრავლა.

ორი წლის შემდეგ რეგიონში იკლო ტურისტების რაოდენობამ. ეკოლოგიური კვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ ტბაში საგრძნობლად შემცირდა ადგილობრივი ჯიშის თევზი, ცვლილებები განიცადა ეკოსისტემამ.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ, რომელიც რეგიონში ტურიზმის განვითარებითაა დაინტერესებული, დაასკვნა, რომ ტურისტების რაოდენობის შემცირება გამოწვეულია სტუმართათვის განსაკუთრებით მიმზიდველი ადგილობრივი პროდუქტის, თევზის შემცირებით. ამ პრობლემის მოსაგვარებლად ხელისუფლებამ გადაწყვიტა ადგილობრივი მოსახლეობისათვის ტბაში თევზაობის აკრძალვა.

შეაფასეთ, რამდენად მართებულია ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გამოტანილი დასკვნა, გააკრიტიკეთ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

დავალება II – თემა მოცემულ საკითხზე

სკოლამდელი ასაკის ბავშვისათვის ზღაპრების წაკითხვა ხელს უწყობს ბავშვის ფანტაზიის, წარმოსახვის უნარის განვითარებას, ხოლო ანიმაციური ფილმების ხშირი ყურება ამ პროცესს აფერხებს.

გამოთქვით თქვენი აზრი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით; თქვენი პოზიციის დასასაბუთებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.